



ახალი განათლება

17-23.09.2020

№26 (900) გასივლით 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



**ახალი
სასწავლო წელი
საშურის №1
საჯარო სკოლაში
კრეატიული
„საკლასო ოთახით“
განსნა**

**საქართველოში მოქმედი 2085 საჯარო და 220 კერძო სკოლიდან
1577-მა, უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვით,
15 სექტემბერს, სწავლა საკლასო ოთახებში განაახლა,
სოლო 730-მდე ობიექტსაგანმანათლებლო დაწესებულებამ
დისტანსიურად დაიწყო.**



**აგროლაურის №2 საჯარო
სკოლის მოსწავლეები**

რა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს დოკუმენტი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები დამტკიცდა.

ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:

❖ **ელექტრონული სწავლება** – სწავლება ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით;

❖ **სინქრონული სწავლება** – დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლებელი და მოსწავლე(ები), მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, ერთდროულად, იყენებენ რომელიმე ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც იძლევა აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ მყისიერად დასვან შეკითხვები ან უპასუხო მათ;

❖ **ასინქრონული სწავლება** – დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლებელი და მოსწავლე(ები), ერთდროულად ან სხვადასხვა დროს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროცესის შესაბამისად, დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას, რეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე, იყენებენ ან ციფრულ რესურსებს, ან აუდიო/ვიდეოფაილებს, ან ტელეფონებს;

❖ **პიბრიდული სწავლება** – დისტანციური სწავლების მოდელი, დასწრებით სწავლებისა და ელექტრონული სწავლების რომელიმე ფორმის კომბინაცია;

❖ **ციფრული რესურსები** – მოსწავლის ასაკისა და განვითარების შესაბამისი სასწავლო რესურსები, რომლებიც შეიქმნა ელექტრონულად ან ანალოგური მასალების ციფრულ ფორმატში გადაყვანით;

❖ **ელექტრონული პლატფორმა** – ელექტრონულ-ციფრული სივრცე, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსები, ელექტრონული მართვის სისტემები, ონლაინ საკომუნიკაციო სისტემები და ა.შ.;

❖ **საგანმანათლებლო პლატფორმა** – პლატფორმა, სადაც განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებთან მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად (წინასწარ ჩანერგილი ვიდეოგაკვეთილები, მულტიმედია რესურსები), ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელიც შესრულდება შემდეგ მოსწავლე სისტემისგან ავტომატურად იღებს შეფასებასა და უკუკავშირს და ა.შ.;

❖ **ონლაინ საკომუნიკაციო სისტემა** – სისტემა, რომელიც იძლევა დისტანციური თანამშრომლობისა და ონლაინ გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობას.

დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში დისტანციური სწავლება შეიძლება სამი სხვადასხვა მოდელით განხორციელდეს – სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში, სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას; სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას; **პიბრიდულად**, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით.

დისტანციური სწავლების მოდელს თავად სკოლა შეარჩევს და ათანხმებს შესაბამის რესურსცენტრთან, ამავე წესით განსაზღვრული განაცხადის ფორმით. რომელიმე მოდელის სასწავლო წლის დაწყებამდე შერჩევის შემთხვევაში, სკოლა წერილობით მიმართავს შესაბამის რესურსცენტრს, სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 14 დღისა, ხოლო მიმდინარე სასწავლო წლის შემთხვევაში, ამ წესით განსაზღვრული გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ სკოლის მიერ გათვალისწინებული განაცხადით სკოლა ირჩევს დისტანციური სწავლების პიბრიდულ მოდელს, აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს რესურსცენტრი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონულ (როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ) მოდელზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილებას, შესაბამისი რესურსცენტრის შუამდგომლობით, იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ნებისმიერი მოდელის არჩევის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი დისტანციური სწავლების სასკოლო საათობრივი ბადა.

სწავლების წესში **დისტანციური სასწავლო პროცესის**

ორგანიზება მთლიანად სკოლას ევალება, პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული სკოლის დირექცია, ადმინისტრაციისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები – საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო.

სინქრონული ელექტრონული სწავლების შემთხვევაში, სკოლა ადგენს სასკოლო საათობრივ ბადას. ამ დროს, მობარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) რაოდენობა არის შემდეგი:

კლასი	I-IV	V-IX	X-XII
რეკომენდებული საათები (ასტრონომიული) დღეში	1 საათი	1.5 საათი	2 საათი

დისტანციური გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა:

- ა) I-IV კლასებში – 15-20 წუთი;
- ბ) V-IX კლასებში – 25-30 წუთი;
- გ) X-XII კლასებში – 35-40 წუთი.

რეკომენდებულია, დღეში, არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება. წესის მიხედვით, ასევე რეკომენდებულია, რომ დაგეგმილი გაკვეთილი შეიცავდეს სხვადასხვა ინტერაქტიულ ტექნიკას, მათ შორის, 10-15-წუთიან შესვენებას ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება.

პიბრიდული დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სკოლა ადგენს საგაკვეთილო ცხრილს, თითოეული საკლასო ჯგუფისთვის, თითოეულ საგანში, რომელშიც მითითებულია გაკვეთილების ჩატარების ფორმა: დისტანციური ან დასწრებით, ასევე განსაზღვრავს საკლასო განაყოფებს დასწრებით გაკვეთილებისთვის.

საჯარო სკოლაში, პიბრიდული დისტანციური სწავლების შემთხვევაში, დასაშვებია კლასის გაყოფა დასწრებით გაკვეთილების დაგეგმვისას, ხოლო დისტანციური გაკვეთილების ჩატარება რეკომენდებულია მთელი საკლასო ჯგუფისთვის.

სკოლა ვალდებულია, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა არც ერთი მოსწავლე არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა ან არ ჩამორჩეს თანაკლასელებს სწავლაში.

წესი ავალდებულებს სკოლებს, მაქსიმალური ძალისხმევით გამოიყენონ იმისათვის, რომ I-IV კლასების მოსწავლეებისთვის დასწრებით სასწავლო პროცესი უზრუნველყოს.

ამის გარდა, დისტანციური სწავლების ნებისმიერი მოდელის განხორციელებისას, სკოლა ვალდებულია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესი უზრუნველყოს, დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლისა და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ინკლუზიური განათლების დამატებითი სპეციალისტების ჩართულობით.

სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, სკოლებმა სისტემატურად უნდა აწარმოონ დისტანციურ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს მოსწავლის მიერ დისტანციური გაკვეთილის გადენის მიზეზები და იმ შემთხვევაში, თუ ვაცდენა გამომწვეულია მოსწავლის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის (მოწყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს და პრობლემის მოგვარებამდე, მასწავლებელთა ჯგუფთან ერთად, ინდივიდუალურად განიხილოს არსებული შესაძლებლობები და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები. ასევე, დამრიგებლის ვალდებულებაა მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან კონტაქტი და მიზეზის გარკვევა, თუ კონტაქტი ვერ ხერხდება, მაშინ სკოლამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იმოქმედოს.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ვერ ახერხებს სახლიდან ჩართვას ან ვერ ერთვება იმ მიზეზით, რომ არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა/ინტერნეტი, მაშინ თავად სკოლამ უნდა გამოიყოს შესაბამისი სივრცე მასწავლებლისთვის, დისტანციური გაკვეთილის ჩასატარებლად.

ახალი წესის მიხედვით, **განსაზღვრა დისტანციური სწავლების შეფასებებიც**, რომელიც ავალდებულებს სასწავლო დაწესებულებებს, დისტანციური სწავლებისას, აწარმოონ მოსწავლეთა შეფასება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დამატებითი რეკომენდაციები, დისტანციური სასწავლო პროცესის შესაფასებლად, სკოლა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მიენიჭება.

დოკუმენტის IV თავში ახსნილია, თუ როგორ განხორციელდება დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ანუ როგორ გაართვა თავი სკოლამ დისტანციური სწავლე-

ბის ხელმისაწვდომობას. დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის სკოლა შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: დისტანციური გაკვეთილების დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით ჩატარების ზედამხედველობას; დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვაზე ზედამხედველობას; დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვას და მიზეზების კვლევას; ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

გარკვეული პასუხისმგებლობები, დისტანციური სასწავლო პროცესის ხელშეწყობაში, რესურსცენტრებსაც განესაზღვრათ, კერძოდ, **რესურსცენტრებს ვალდებულებად დაეკისრათ**, რომ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ყველა სკოლისთვის უზრუნველყონ კონსულტაციები, სკოლის დირექციის წარმომადგენლებისთვის, დისტანციური სწავლების რეგულაციური ფორმისა და პერიოდის შერჩევის მიზნით; ასევე განიხილონ და შეითანხმონ სკოლის შუამდგომლობა პიბრიდულ დისტანციურ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით და გამოსცენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; გარდა ამისა, რესურსცენტრებმა თვალყური უნდა ადევნონ: დისტანციური სწავლების დროს, სკოლისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებისა და უფლებამოსილების შესრულებას; ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესრულებას; მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელთან კონსულტაციების ორგანიზებას. საჭიროების შემთხვევაში, საჯარო სკოლებში განახორციელონ მონიტორინგი.

დისტანციური სწავლების წესში მე-17 მუხლი **სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის ვალდებულებებს განსაზღვრავს**, რომელიც პირდაპირ აკისრებს სკოლის დირექტორსა და დირექტორის მოადგილეს ვალდებულებას, დისტანციური სასწავლო პროცესი ისე დაგეგმონ, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ სკოლის რესურსები, თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ამავე მუხლის მიხედვით: **სკოლის ექიმი და ფსიქოლოგი ვალდებულია**, გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები საგნობრივ კათედრებსა და სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, გაკვეთილების ფორმისა და ხანგრძლივობის შესახებ; **კლასის დამრიგებელი ვალდებულია**, კომუნიკაცია იქონიოს თითოეულ მოსწავლესთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან და დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩასართავად რაიმე შეფერხების გამოვლენისთანავე მიმართოს სკოლის დირექციას და, პარალელურად, კლასის საგნის მასწავლებლებთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციით, დასახოს გზები მოსწავლის მხარდასაჭერად; **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, სკოლის ინკლუზიური განათლებაში ჩართული დამატებითი სპეციალისტები, ვალდებული არიან**, მუდმივი კომუნიკაცია იქონიონ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან და მათი ჩართულობით უზრუნველყონ მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია გაუწიონ სსმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მხარდაჭერისა და სახლის პირობებში აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების განვითარებისთვის.

დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია წინაპირობა, რომელიც დისტანციური სწავლების რომელიმე მოდელზე გადასვლას ან დასწრებით სწავლების განახლებას თან უნდა ახლდეს.

წესის მიხედვით, **სკოლები დასწრებით სწავლების განახლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ:**

- ა) სკოლაში/დასახლებაში/მუნიციპალიტეტში/ქვეყანაში არსებული სხვადასხვა დადამდები დაავადებით გამოწვეული მდგომარეობისა და დასწრებით სწავლების შეზღუდვები გაუქმდები;
- ბ) სკოლაში/დასახლებაში/მუნიციპალიტეტში/ქვეყანაში არსებული რთული მეტეოროლოგიური/ექსტრემალური პირობებით ან ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული დროებითი შეზღუდვები გაუქმდები;
- გ) სკოლაში მიმდინარე გადაუდებელი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები დასრულდები;
- დ) ცალკეულ საგანში/საგნებში ადამიანური რესურსის (მასწავლებლის) დეფიციტი აღმოიფხვრება.

სკოლა განაახლებს დასწრებით სწავლებას მინისტრის ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, რესურსცენტრის უფროსის შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, წინასწარ განსაზღვრული დისტანციური სწავლების ვადის ამოწურვის შემდეგ.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის წინაპირობა კი, კონკრეტულ შემთხვევაში, სკოლაში/დასახლებაში/მუნიციპალიტეტში/ქვეყანაში არსებული სხვადასხვა დადამდები დაავადებით გამოწვეული მდგომარეობისა და დეფიციტი დროებითი შეზღუდვებია.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება არის ყველასთვის, ამიტომ მის შესახებ ყველა უნდა იცოდეს

განათლების სხვადასხვა საფეხურზე გატარებული რეფორმებიდან, ყველაზე წარმატებულად პროფესიული განათლების რეფორმა მიიჩნევა, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ბიზნესთან, მომავალ დამსაქმებელთან მჭიდრო კავშირშია განაპირობა. ამ და სხვა სიახლეების შესახებ საუბრობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლებისა და დირექტორების განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი ნინო ელვაძიძე.



შინდელი დღეა. დღეისათვის ის ყველაზე დინამიური და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული განათლების საფეხურია, რომელიც თავის პოპულარობას ყოველწლიურად ამაღლებს. პანდემიამ ძალიან დაგვაზარალა ისევე, როგორც ყველა საფეხური და მთელი სამყარო, მაგრამ აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს უცხოელ კოლეგებთან ევროპაში, ვიზარებთ მათ გამოცდილებას. 24 სექტემბერს საერთაშორისო სემინარი გვაქვს დაგეგმილი, სადაც განხილული იქნება საკითხი „სწავლა-სწავლება კოვიდის დროს პროფესიულ განათლებაში – მთავარი გამოწვევები“. სემინარში სპიკერად ორი ქართველი მასწავლებელია მინვეული პიტი აკადემიის კოლეჯიდან. სემინარი ონლაინ რეჟიმში ჩავივლის, შემდეგ გვექნება ადგილობრივი სემინარები პროფესიულ მასწავლებლებთან.

– თქვენ ამბობთ, რომ პროფესიული განათლება შეეხება ყველას. რას გულისხმობთ, ვინ არიან პროფესიული განათლების ბენეფიციარები?

– ნამდვილად ასეა. პროფესიული განათლება არის ყველასათვის და ამიტომ აუცილებელია, რომ ყველას ჰქონდეს სწორი ინფორმაცია პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ. ბენეფიციართა მინიმალური ასაკი ცხრაკლასიდან იწყებული ახალგაზრდაა. ცხრა კლასის შემდგომ მოსწავლეს შეუძლია, აირჩიოს სასურველი პროფესია სასურველ კოლეჯში, დარეგისტრირდეს, გაიაროს პროფესიული ტესტირება და შეუძღვეს სწავლას.

რაც შეეხება ზრდასრულებს, პროფესიული განათლების მიღების მაქსიმალური ასაკი ფაქტობრივად არ არსებობს. ნებისმიერ ასაკში შეგიძლიათ ისარგებლოთ მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით.

პროფესიული განათლების ირიბი ბენეფიციარი, უფრო მოკავშირე, არის მშობელი. მშობელს უნდა ჰქონდეს სწორი ინფორმაცია რა პერსპექტივები აქვს კონკრეტულ პროფესიას, რათა, მინიმუმ, ხელი არ შეუშალოს შვილის არჩევანს და, მაქსიმუმ, გახდეს მისი მოკავშირე და ხელშემწყობი. მშობელთან წარმოებული ჯანსაღი და გასაგები კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, რათა მშობელი თავად გახდეს პროფესიული განათლების მხარდამჭერი. გვაქვს შემთხვევები, როდესაც მშობლებს აღმოუჩნიათ თავიანთთვის საინტერესო მიმართულება და პროფესიული განათლების სტუდენტები გამხდარან. ასე რომ, პროფესიული განათლება უამრავ შესაძლებლობას გვთავაზობს, მთავარია, ვიპოვიოთ, რა გვინდა ვაკეთოთ, რა არის ჩვენი ინტერესის სფერო. პროფესიული განათლება საზოგადოების ყველა ასაკობრივ ჯგუფს შეეხება.

– რას გვეტყვით დასაქმების პერსპექტივების შესახებ?

– როდესაც დასაქმების პერსპექტივაზე მეკითხებიან ხოლმე, ჩემი პასუხი, ყოველ ჯერზე, არის ერთი და იგივე: პროფესიული განათლებას აქვს უამრავი შესაძლებლობა, მაგრამ როგორი წარმატებით დაესაქმდებით, პირველ რიგში, ჩვენზე დამოკიდებული და რატომ: წარმატებას ძალიან ბევრი ძალისხმევა და შრომა სჭირდება. შრომის გარეშე არც წარმატება და ღირსეული სამსახური მიიღწევა და არც კარგი შემოსავალი. აუცილებელია, რომ პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს კარგად განივითაროს უნარები, შრომის დისციპლინა, პროფესიული თვისებები. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება იგი მოთხოვნილი კადრები შრომის ბაზარზე. როგორც გითხარით, ყველა პროგრამა შემუშავებულია დამსაქმებელთან თანამშრომლობით, რაც იმას ნიშნავს, რომ შრომის ბაზარზე ასეთი კვალიფიკაციის კადრზე მოთხოვნა უკვე არსებობს. ბუნებრივია, ყველა დამსაქმებელი საუკეთესოს ირჩევს, ამიტომ ვურჩევ სტუდენტებს, იმუშაონ საკუთარ პიროვნულ და პროფესიულ უნარებზე, რათა პროფესიულ განათლებაში ჩადებული ძალისხმევა ასმაგად დაუბრუნდეთ უკან თვითდასაქმების, დასაქმების და წარმატების სახით.

ესაუბრა ანა ფირსხალიაშვილი

– პროფესიული განათლება ბევრ სიახლეს სთავაზობს განათლების მიღების მსურველებს. რას გვეტყვით ამ პროგრამების შესახებ?

– პროფესიული განათლება უაღრესად მრავალფეროვანია თავისი პროფესიების სპექტრითა და შესაძლებლობებით, გეოგრაფიული დაფარვითა და დასაქმების პერსპექტივებით. ამიტომ, დაინტერესებულმა პირმა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, სად ნახოს შესაბამისი ინფორმაცია პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ და რომ პროფესიულ განათლებაში აუცილებლად იპოვის მისთვის საინტერესო პროფესიას. ახალგაზრდა თუ ზრდასრული, პროფესიის არჩევასა, დადგება მრავალფეროვანი არჩევანის წინაშე და ძალიან მნიშვნელოვანია, ისე შეარჩიოს პროფესია, რომ ის ეხმარებოდეს ადამიანის ინტერესსა და შესაძლებლობებს. კომპონენტი უმნიშვნელოვანესია – ადამიანმა იპოვოს ის პროფესია, რომელსაც სიამოვნებით შეისწავლის.

პროფესიებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ მისამართზე: www.vet.emis.ge – აქ მსურველები ნახავენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. პროფესიული პროგრამები გახლავთ ორი სახის:

- ➔ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
➔ მომზადება-გადამზადების პროფესიული პროგრამები.

როგორც დასახელებიდან ჩანს, ერთი გახლავთ რეგულარული, გრძელვადიანი პროფესიული განათლების პროგრამები, ხოლო მეორე – შედარებით მოკლე დროისთვის განსაზღვრული პროგრამები, რომლებიც გათვლილია იმ კონკრეტული პროფესიული უნარების განვითარებაზე, რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი და შრომის ბაზარი. ორივე სახის პროგრამების შემუშავება დამსაქმებელთან და სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით ხდება, თუმცა პირველი, გრძელვადიანი პროგრამები, სრულდება სახელმწიფო დიპლომით, ხოლო მოკლევადიანი პროგრამების დასრულებისას სერტიფიკატი გაიცემა.

პროფესიულ განათლებას საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში სახელმწიფო აფინანსებს, ასევე სახელმწიფო აფინანსებს რიგ პროფესიებს კერძო კოლეჯებში, რომლებიც პრიორიტეტულ მიმართულებებზე არის მიჩნეული.

რომ დაეუბრუნდეთ შეკითხვას, პროფესიული განათლების მსურველებისათვის ორი სახის პროგრამებია შეთავაზებული: მოკლევადიანი და გრძელვადიანი. პროფესიული სასწავლებლებისა და პროფესიების ჩამონათვალის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ზემოთ მითითებულ ვებგვერდზე. თავად სასწავლებლებში მსურველებს გაუწევენ კონსულტაციას, პროფესიების

სიების შინაარსისა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ. ასე რომ, თუ თქვენ გსურთ, მოთხოვნადი და საინტერესო პროფესია შეარჩიოთ, დაინყეთ შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და მიიღეთ გადაწყვეტილება საკუთარი თავისა და შრომის ბაზრის სასარგებლოდ.

– პროფესიული განათლება არც თუ ისე პრესტიჟულად ითვლება. მენტალურ ცვლილებას ბევრი დრო დასჭირდება. რა საშუალებები ტარდება ამ მიმართულებით?

– პროფესიულ განათლებას არც თუ ისე სასარგებლო წინარე ისტორია აქვს. მისი პრესტიჟი არ იყო მაღალი ათწლეულების წინ და ეს განწყობა, სამწუხაროდ, ახლაც მოჰყვება ბევრ მშობელსა და ზრდასრულს. ეს არის მოცემულობა და ამას თვალის უნდა გავუსწოროთ, თუმცა, ბოლო წლებში, პროფესიულმა განათლებამ წარმოუდგენელი პროგრესი განიცადა – დღეისათვის განათლების ყველაზე დინამიური და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ყველაზე ახლოს მდგომი განათლების საფეხურია. ამ ცვლილებებს ძალიან დიდი ძალისხმევა უდგას უკან როგორც ადგილობრივი ექსპერტების, ასევე დიდი ორგანიზაციებისა და, რაც მთავარია, თავად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების. შეიქმნა ისეთი პროფესიული პროგრამები, რომლებიც პასუხობენ დამსაქმებლის დაკვეთას და თავად დამსაქმებელი იყო ჩართული პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში. ამგვარმა მიდგომამ განათლების ეს საფეხური და კერძო სექტორი ერთმანეთთან დაახლოვა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ უკვე ყველაფერი იდეალურადაა და ევროპულ სტანდარტებთან ვართ თანხვედრაში, ამ მხრივ, კიდევ დიდი ძალისხმევაა გასატარებელი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პირველი წარმატებული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციითა და დამსახურებით, დღეისათვის, პროფესიულ სასწავლებლებში შესაძლებელია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, პროფესიული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

პროფესიული განათლების პრესტიჟს ქმნიან თავად კურსდამთავრებულები, პროფესიული კოლეჯები, პროფესიული მასწავლებლები და სასწავლო რესურსები, რომლებიც დღეისათვის არსებობს სასწავლებლებში. სწავლა-სწავლების ხარისხი მონმდება ავტორიზაციის უახლესი ხუთი სტანდარტით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უწყვეტი და სისტემური მიდგომით ხორციელდება. მუშავდება პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტი და პროფესიის რეგულირების დოკუმენტი, მსოფლიო ბანკის პროექტთან ერთად.

ასე რომ, პროფესიული განათლების დაბალი პრესტიჟი გუ-

ინფორმაცია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაცია

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, უზრუნველყოფს პროფესიულ განვითარებას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს ექსპერტთა პერიოდულ ატესტაციას.

7 სექტემბერს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის ფარგლებში – თეორიული გამოკითხვის კომპონენტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ექსპერტთა ტესტირება ჩატარდა.

COVID-19 ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დაცვა. ტესტირების საფუძველზე, შემდეგ ეტაპზე, შეფასდება ექსპერტების პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევები.



როგორ უკან დაიხიოს სახელმწიფო ყველა სფეროდან და, მათ შორის, განათლების სფეროდანაც

როგორც ცნობილია, ახალი სასწავლო წლის დაწყება 1 ოქტომბრამდე გადაიდო დიდ ქალაქებში – თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი და ფოთი; ბათუმსა და ქობულეთში ისედაც გადადებული იყო. 15 სექტემბერს სწავლა განაახლეს დანარჩენი მუნიციპალიტეტების სკოლებმა. როგორი მოგზაობები შეხვდა სახელმწიფო სასწავლო პროცესის განახლებას? რა გააკეთა ან ვერ გააკეთა სისტემაში ზარალიანი განმარტების, რაც, რეალურად, კალიან მნიშვნელოვანი დრო იყო იმისთვის, რომ ეფექტურად გამოეყენებინა და, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხარისხიანი სასწავლო პროცესი შეეთავაზებინა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგებისთვის. ჩვენს რესპონდენტს, გიორგი ჭაუჭიძეს, სრულიად განსხვავებულ სურსათს ვპოულობთ და ავხატავთ: თუკი რა უნდა გააკეთოს სახელმწიფო, არის ის, რომ „თვითონ გადაიფიროს უკან.“ ის მხარს არ უჭირს მოთხოვნას: „მეტი რა უნდა გააკეთოს“, პირიქით, მისი მოთხოვნაა, „როგორ უკან დაიხიოს სახელმწიფო ყველა სფეროდან და, მათ შორის, განათლების სფეროდანაც.“ „თავისუფლების გამოვლინება მასწავლებლისთვის“ ნოემბრის კვირულს გამოვავალთ ისევ განათლების



სისტემის თავისუფლება რჩება, სადაც მთავარი სიტყვა მთავარ დამკვეთს - მშობელს ეკუთვნის. მთავარი კითხვა კი, ჯერ კიდევ დასასმელია - რამდენად სასარგებლოა და, საერთოდ, საჭიროა თუ არა ბეტონით აშენებულ შენობაში ბავშვის ორსაათიანი ყოფნა, რომ აუცილებლად უნდა გავითავისუფლებოთ იმ „თავსპროცესული იდეისგან, რომლითაც ვიმედოვნებთ“

სწავლებლებს და პაწაწალებს ბავშვებს ცხრიდან ორსაათიანი „მისი აზრით, უკვე დროა, იმაზეც ვიფიქროთ, რამდენი აკადემიური საბნის შესწავლის შესაძლებლობა და სურვილი აქვს ადამიანს? ამაზე პასუხი შემდეგ გარკვეული გადანყვეტილებების მიღებას მოითხოვს, კონკრეტულად კი, რა ვაკეთებინოთ ბავშვებს ცხრიდან ორსაათიანი ათიდან პირველამდე? საჭიროა თუ არა, საერთოდ, ცხრიდან ორსაათიანი მათი დანესებულებების ყოფნა და ა.შ.

– გიორგი, სწავლის გადადებისთან ერთად, გააქტიურდა საუბარი იმაზე, რომ სახელმწიფომ, არადადევნების პერიოდში, დრო დაკარგა და, რეალურად, კარგად ვერ მოემზადა იმისთვის, რომ სწავლა, საჭიროების შემთხვევაში, ისევ დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადაერთოს. რას ფიქრობთ, რა უნდა გაეკეთებინა სახელმწიფოს და რა ვერ გააკეთა?
– სად არის სახელმწიფო, რა უნდა გააკეთოს ან რა უნდა გაეკეთებინა და ა.შ. – ყველაზე გასაკვირვებელი შეკითხვებია არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ, ზოგადად, საზოგადოებაში. ვფიქრობ, საკითხის ასე დაყენება არის ის შეცდომა, რაზეც შემიძლია სხვა შეცდომებთან დასაბუთება. ავიღოთ კონკრეტულად განათლების მიმართულება – თუკი რამე უნდა გაეკეთოს სახელმწიფომ, ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ის, რომ თვითონ გადაიხიოს უკან. მას მოვითხოვთ, მეტი რამე გააკეთოს ან რატომ არ აკეთებს – მე ამ მოთხოვნას მხარს არ ვუჭერ. პირიქით, ჩემი მოთხოვნაა, როგორც უკან დაიხიოს სახელმწიფომ ყველა სფეროდან და, მათ შორის, განათლების სფეროდანაც. არადა, სამწუხაროდ, საზოგადოება ამისთვის მზად არ არის. როგორც აღვნიშნე, პირიქით, ისეთ რამეებს ითხოვს, რასაც მე მხარს არ დავუჭერ. თავისთავად, ასეთი მიდგომისთვის საჭიროა, რომ პასუხისმგებლობა თითოეულმა ადამიანმა აიღოს, მათ შორის, განსაკუთრებით, მშობლებმა, რადგან სწორედ მშობლები არიან მთავარი დამკვეთები განათლების სფეროში. აქედან გამომდინარე, თითოეული მათგანი უნდა ითხოვდეს, რომ თვითონ გადაწყვეტილიყო შეიღების განათლების საკითხები ისე, როგორც მათ მიაჩნიათ საჭიროდ. თუკი შემდეგ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ბავშვი შეიძლება წერა-კითხვის უცოდინარი დატოვოს ვინმემ (ამის შიში არსებობს საზოგადოებაში), ამ შემთხვევაში, შეიძლება ჩაერიონ გარკვეული ინსტიტუტები, რომ საბაზო განათლება ყველა ბავშვისთვის მართლაც ხელმისაწვდომი იყოს. ამიტომ ვამბობ, რომ მე ვერ შევეუბრებოდი მოთხოვნებს და მოწოდებებს – სად არის სახელმწიფო და რას აკეთებს ის.
შესაბამისად, თუ ასე შევხედავთ საკითხს, რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრე, მერე გამოჩნდება კონკრეტული გზები, რა უნდა გააკეთოს თითოეულ ბავშვთან მიმართებაში, კონკრეტულ სიტუაციაში. იცით, დღეს როგორ ფიქრობს ყველა? ყველას უნდა, ბავშვი ორსაათიანი მიიყვანოს სკოლაში, მაგრამ არ სვამს მთავარ კითხვას – რამდენად ნაყოფიერი და სასარგებლოა დღიდან ორსაათიანი ბავშვის ამ დანესებულებაში ყოფნა. არადა, წელს ისეთი სიტუაცია დადგა, როცა, ფაქტობრივად, მისი სკოლაში წასვლა უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ ვსვამთ ამ შეკითხვას – რამდენად სასარგებლოა და, საერთოდ, საჭიროა თუ არა ბეტონით აშენებულ შენობაში ბავშვის ორსაათიანი ყოფნა... მოკლედ, ჩემი აზრით, ამ მიმართულებით, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ.
ერთსავე დავამატებ – როცა საჭიროებებზე ვსაუბრობთ, თავს მოხვეული გვაქვს ისეთი განათლების სისტემა (ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ მარტო ჩვენთან არ არის, გაცრცელებულია სხვაგანაც), რომელიც გულისხმობს იმის დაშვებას, რომ ყველა ბავშვს შეუძლია ისწავლოს თერთმეტი აკადემიურ

რი საგანი. აი, ეს მოცემულობა გვაქვს თავსმოხვეული და ამ თავსმოხვეული იდეით ვქმნით დანესებულებებს და ვანვალებთ ბავშვებს ცხრიდან ორსაათიან. ჩემი აზრით, უკვე დროა, ეს შეკითხვაც დავსვათ – რამდენი აკადემიური საგნის შესწავლის შესაძლებლობა და სურვილი აქვს ადამიანს? ამაზე პასუხი შემდეგ გარკვეული გადანყვეტილებების მიღებას მოითხოვს, კონკრეტულად კი, რა ვაკეთებინოთ ბავშვებს ცხრიდან ორსაათიანი ათიდან პირველამდე? საჭიროა თუ არა, საერთოდ, ცხრიდან ორსაათიანი მათი დანესებულებების ყოფნა და ა.შ.
– გიორგი, დაფიქრდით იმ მოცემულობას, რაც ახლა გვაქვს – სწავლა, გარკვეულ სკოლებში (ჩვეთვალთ, საქართველოს სკოლების ნახევარში) 1 ოქტომბრამდე გადაიდო. ამ შემთხვევაში, სად გადის პასუხისმგებლობის ხაზი სკოლის, მასწავლებლისა და სამინისტროს მხრიდან? ამ რგოლებმა ხომ უნდა შექმნან იმის პირობები, რომ ბავშვებს ხარისხიანი განათლება მიეცეთ?
– მე სწორედ ამას ვამბობ, სახელმწიფომ უკან უნდა დაიხიოს. უფრო გასაგებად რომ ავხსნა, მაშინ დავსვათ ასეთი შეკითხვა: საქართველოში ბავშვი თორმეტი წელიწადი დადის სკოლაში. მათგან ნახევარზე მეტი (ზუსტად ციფრს ვერ დავასახელებ, რადგან არ მაქვს ეს მონაცემები, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ნახევარზე მეტი, მოსწავლეთა 52% კი არა, დაახლოებით, 70-80%), სასწავლო პროცესის ბოლო ორი წლის განმავლობაში, იძულებული ხდება, დამატებით იმეცადინოს ე.წ. რეპეტიტორებთან, რათა ჩააბარონ უმაღლესი სასწავლებლების მეტად ადვილი გამოცდები. თუ ციფრებში არა, ამაში მაინც დამეთანხმებით, რადგან, ვფიქრობ, ახლა საყოველთაო ქვემარტებას ვამბობ. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინ იღებს იმ გადანყვეტილებას, რომ ბავშვი, დამატებით, რეპეტიტორებთან მოემზადოს, რომ უმაღლესი სასწავლებელში ჩააბაროს? რასაკვირველია, ამ გადანყვეტილებას იღებს მშობელი (ამაზე სხვა პასუხი არ არსებობს!). შესაბამისად, ასევე, მშობლებმა უნდა მიიღონ გადანყვეტილებები არა მხოლოდ ორ წელიწადზე, არამედ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. სინამდვილეში, ის სერვისი, რომელსაც, ვითომდა უფასოდ, სთავაზობს სახელმწიფო, საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა დააყენონ არა მხოლოდ მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასებში, არამედ ყველა ეტაპზე. რადგან მშობელი ამას არ აკეთებს, სახელმწიფოც ასე უდგება – თავის თავზე იღებს ამ ვალდებულებას და არა თუ უბრალოდ იღებს, უფრო მეტადაც ცდილობს, პასუხისმგებლობა სრულად თავის თავზე გადაიტანოს, ნაცვლად იმისა, რომ უკან დაიხიოს. ჩემი აზრით, ეს დიდი შეცდომაა.
– საინტერესოა, თქვენ შემთხვევაში როგორ ხდება, როგორ არის ეს პასუხისმგებლობები გადანაწილებული? თქვენც ხომ ამ სისტემის ნაწილი ხართ – ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებელი, როგორ ახერხებთ იმ სოციალურ, სადაც ამჟამად ასწავლით, თქვენი მოსწავლეების მშობლებს მისცეთ თავისუფლება, რომ ისინი იყვნენ დამკვეთი და თვითონვე წარმართონ „კონტროლი“ მიმდინარე პროცესებზე?

– ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, მაგრამ როგორც თქვენ აღვნიშნეთ, მეც ამ სისტემის ნაწილი ვარ და აქედან გამომდინარე, რამდენად გამომდის ეს ყველაფერი, სხვა საკითხია.
– და მაინც, რას აკეთებთ იმისთვის, რომ ეს მიდგომა მიღწევადი გახადოთ?
– ამის შესახებ ყველგან ვლაპარაკობ და, ამ წუთში, თქვენთანაც ამაზე ვსაუბრობ (იმედია, გაავრცელებთ ჩემს მოსაზრებას). ყოველ შემთხვევაში, რა პოზიციაზე ვარ და რაშიც მიხედის სახელმწიფო ხელფასს, ვცდილობ, ეს საქმე კეთილსინდისიერად ვაკეთო. ამის გარდა, ვცდილობ სხვებისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს ის, რასაც მე ვაკეთებ.
– გიორგი ჭაუჭიძე, მასწავლებელმა (რომელიც საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მასწავლებელია, ამას თქვენი სტატუსიც ადასტურებს და თქვენი საქმიანობაც), იქნებ გაგვიზიაროთ, კონკრეტული მაგალითის სახით, რა გააკეთა ზაფხულის განმავლობაში, იმისთვის, თუკი სისტემას სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა მოუწევდა, უფრო ხარისხიანი სწავლება რომ შეეთავაზებინა მოსწავლეებისთვის და სასწავლო პროცესი იმაზე უკეთესი გახდებოდა, ვიდრე გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრში იყო?
– ალბათ, გინახავთ კიდევ, რომ მე ელექტრონულ რესურსებს ვაკეთებ – საკითხავ რესურსებს, რომელსაც, ცხადია, ჩემს მოსწავლეებთანაც ვიყენებ და, ასევე, ვაზიარებ კოლეგებისთვის. ამის გარდა, ამ ზაფხულში, გრიფი მიიღო ქართული ენის სახელმძღვანელო, რომელზეც მე და ჩემი მეგობრები ვმუშაობდით და კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას. ეს არის ქართული ენის სახელმძღვანელო არაქართულენოვანი სკოლებისთვის. ბუნებრივია, ვმუშაობ საკუთარ თავზე, რადგან ასე დანაწილი მასალა, მთელი წლის განმავლობაში რომ გამოვიყენო, არა მაქვს. ბუნებრივია, სწავლების პროცესს მუდმივად რალაცის დამატებას და კეთებას მოითხოვს.
– ვინ უნდა იზრუნოს მასწავლებლის პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე, მაგალითად, როგორ უნდა გამოიწოდოს დისტანციური სწავლების პროცესში არსებული ხარვეზები?
– არ მიყვარს სახელმწიფოსკენ ხელის გაშვება, რადგან პირიქით, იმის მითითება მინდა სახელმწიფოსთვის, რომ თავი დაანებოს ბევრ რამეს, ამიტომაც არ ვთხოვ მეტის კეთებას. მასწავლებელი კი, რასაკვირველია, პროფესიულად უნდა გაიზარდოს და თვითონ განვითარდეს. შევეცდები ავხსნა – მე რომ ვმუშაობ და ამაში ვიღაც ხელფასს მიხდის, რა თქმა უნდა, გარდაუვალია, რომ, პარალელურად, განვითარებაზე უნდა ვიზრუნო. თუ მე არ განვითარდები, ჩემს ნაცვლად, დამქირავებელი სხვას დაიქირავებს, აბა, მითხარით, არ უნდა განვითარდებოდა? პირველ რიგში, რასაკვირველია, ამას საკუთარი ძალებით უნდა ვეცადო და არ დაველოდო, როდის მასწავლის რამეს ჩემი დამქირავებელი და პროფესიულად განმავითარებს. კი, ბატონო, კარგი იქნება ასე, შეიძლება ხელფასიც ჩამომაჭრას ამაში, მაგრამ ხომ არ უნდა ვიჯდებ გულ-ხელდაკრეფილი და ველოდო, იქნებ ვინმემ რამე მასწავლოს? საუბარია ჩემს საქმეზე, იმაზე, რასაც მე ვაკეთებ. ამიტომ, ერთ-

აპტუალური თემა

ნიშვნელოვნად, ჩემს პროფესიულ ზრდაზე, პირველ რიგში, მე უნდა ვიზრუნო. მოვქმედებო ვინ მასწავლის და ფული გადავუხადო იმაში, რომ მასწავლოს. საბედნიეროდ, ჩვენს სისტემაში, ძალიან კარგი და კეთილი პროფესიონალი ადამიანები არიან, რომლებიც, ყოველგვარი მატერიალური დაინტერესების გარეშე, უამრავ რესურსს აზიარებენ, რითაც ადამიანს შეუძლია, თუ დროს გამოძებნის და სურვილი ექნება, საკმაოდ ბევრი რამ ისწავლოს, პროფესიული განვითარება მოახერხოს. მაგრამ, თუ ეს საკმარისი არ იქნება, რასაკვირველია, მან დამატებით უნდა იზრუნოს თვითგანვითარებაზე და ამაში ფულიც გადაიხადოს.

– გიორგი, შეიძლება ასეთი ფორმირება მიეცე თქვენს აზრს – სისტემას (ამ შემთხვევაში – განათლების სისტემას) უკეთესობისკენ ცვლით ინდივიდები/მასწავლებლები და არა პირიქით – სისტემამ არ უნდა შეცვალოს?

– ამ ფორმირებას ვერ დავეთანხმები, რადგან ჩემი სურვილია, სისტემა კი არ შეცვალოს, არამედ ნელ-ნელა გავაქროთ სისტემა, რომელიც გვაქვს, კი არ უნდა გადავკეთოთ, არამედ უკან დავწიოთ მასწავლებლებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა, საგანმანათლებლო მენეჯერებმა და ა.შ. – ამ ადამიანებმა უნდა შევქმნათ ერთგვარი მიკროსისტემები.

– გასაგებია, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს, პროფესიულად იზრდებოდეს, მაგრამ ამ პროცესში სკოლის როლი გარდაუვალია. თქვენ როგორ ხედავთ ადმინისტრაციის როლს ამ პროცესებში?

– როდესაც მასწავლებლის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, სკოლაში განვითარება ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი რამაა. სკოლაში განვითარებაში რას ვგულისხმობ, იცით? კოლეგებთან ერთად განვითარებას, ერთად დაჯდომას და მუშაობას გარკვეულ საკითხებზე, რაც პროფესიული ზრდისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა. მასწავლებლები ერთად ცატილებით

უკეთ და სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე ინდივიდუალურად და ამას არაერთი კვლევა ადასტურებს. ამიტომ, თავისთავად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესში სრულად არის ჩართული სკოლა, თავისი ადმინისტრაციით.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ განათლების სამინისტროს როლმა უკან უნდა დაინიშნოს, მაშინ რა იქნება მისი ფუნქცია?

– უპირობოდ, უნდა დაინიშნოს. მისი ფუნქცია? თავისი უფლებები, მოვალეობები, ფუნქციები და ფინანსები მან როგორმე უშუალოდ დამკვეთებზე/მომხმარებლებზე უნდა გადაიტანოს. მაგალითის მოვიტან – სამინისტრო უამრავ თანხას ხარჯავს მასწავლებლების განვითარებაზე (ამის შესახებ ყველას სმენია), ანუ ამბობს, რომ თქვენ, მასწავლებლებმა და სკოლებმა არ იცით როგორ განვითარდეთ და ჩვენ დავგებთ რეგულაციებს. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, მაგალითად, სამინისტრომ გარკვეული თანხები (თუ მაინცდამაინც ფულის გადახდა უნდა) განვითარებისთვის მისცეს ადამიანებს, თვითონ მოიხმარონ და დაგეგმონ როგორ გაიზარდონ პროფესიულად. თავისთავად, ეს უნდა იყოს კომპლექსური მიდგომა და მხოლოდ მასწავლებლების განვითარებას არ უნდა ეხებოდეს, სამინისტრომ, ამავე მიდგომებით, სხვადასხვა მიმართულებით უნდა იმუშაოს.

– გიორგი, საინტერესოა, როგორ ხედავთ პრობლემის მოგვარებას, თუ მასწავლებელს და მოსწავლეს არ აქვს რესურსი, ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში? სამწუხაროდ, გვქონდა შემთხვევები, როცა არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს არ ჰქონდა სათანადო დივიდენდი და ინტერნეტი, რომ დისტანციურ სწავლებაში ჩართულიყვნენ. ამ შემთხვევაში, ვინ უნდა იზრუნოს მათზე?

– მე ვმუშაობ მასწავლებლად და არ მაქვს კომპიუტერი, როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იზრუნოს ჩემს კომპიუტერზე? თავისთავად, უნდა ვიზრუნო მე თავად. მაშინ ეს შეკითხვა, საერთოდ, რატომ უნდა დაისვას?

– არ დაგვაინტერესებს, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია და ჩვენ ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველი ოჯახი გვყავს.

– რაც შეეხება სოციალურად დაუცველებს, თავიდანვე ხომ ვთქვი, თუკი ვინმე ვერ მოახერხებს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამის უზრუნველყოფას და იმის საშუალება გაჩნდება, რომ სკოლა ბავშვს საბაზისო განათლების, საბაზისო უნარების გარეშე ტოვებს, მაშინ, რასაკვირველია, ასეთ ადამიანებს უნდა დავეხმაროთ. საზოგადოება ამიტომ ვცხოვრობთ ერთად და ამიტომ გვაქვს შექმნილი სტრუქტურები და ინსტიტუტები.

– ერთი ფრაზით რომ შეაფასოთ – სწორი გადაწყვეტილებაა, ნაწილობრივ, სწავლის 1 ოქტომბრამდე გადადება?

– მე არ ვიცი, ეს გადაწყვეტილება, საერთოდ, რის საფუძველზე მიიღეს. მაგალითად, რატომ გადაიდო სწავლა ერთ ქალაქში და არ გადაიდო მეორეში. არ მესმის ეს ლოგიკა. ან რატომ გადაიდო პირველ ოქტომბრამდე და არა, მაგალითად, 15 ოქტომბრამდე. სიმართლე გითხრათ, ვერც ამას ვხედავ. გაუგებარია. შესაბამისად, არც ზუსტი პასუხი მაქვს. ისიც გაურკვეველია, როდემდე ვაპირებთ სწავლის გადადევას ან მერე როგორ ვაპირებთ გაგრძელებას და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, რალაც საკითხები ეჭვებს ბადებს, სრულ გაურკვევლობაში ვართ. ამიტომ, გამიჭირდება იმის თქმა, ვეთანხები თუ არა სწავლის პირველ ოქტომბრამდე გადადებას. თქვენ რომ მკითხოთ, 30 სექტემბრამდე ან 2 ოქტომბრამდე გადადებას რატომ არ ვეთანხმები? მაშინ ამაზეც ხომ უნდა მქონდეს პასუხი. თავისთავად აბსურდულია. ამიტომ, ეს აუცილებლად ჰკითხეთ გადაწყვეტილების მიმღებებს – რატომ გადაიდო 1 ოქტომბრამდე და არა 5 ოქტომბრამდე? რატომ რუსთაველი და არა ჭიათურაში? ამ კითხვებზე პასუხს მეც სიამოვნებით მოვისმენ.

ესაუბრა ლალი ჯილაძე

ელექტრონული ჟურნალი

ონლაინ სკოლა

მრავალფუნქციური და პრაქტიკული ჟურნალი სკოლებში

როგორც ცნობილია, 2020-2021 სასწავლო წელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული გახდნენ, დაიწყონ ელექტრონული ჟურნალის წარმოება, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, პარალელურად, მათ შეუძლიათ, ტრადიციული საკლასო ჟურნალიც აწარმოონ. მომავალი სასწავლო წლიდან კი, სასკოლო ჟურნალს სრულად ჩაენაცვლებს ელექტრონული ჟურნალი, რომლის წარმოებას სკოლები განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი სპეციალური პლატფორმით შეძლებენ.

აპლიკაცია „ონლაინ სკოლა“, ანუ ელექტრონული ჟურნალი გულისხმობს მასწავლებლების მიერ სკოლის მოსწავლეების დასწრებისა და შეფასების ელექტრონულად აღრიცხვას. აპლიკაცია, ასევე, საშუალებას აძლევს სკოლას, მყისიერად მიაწოდოს ინფორმაცია მშობლებს და აწარმოოს სრული სტატისტიკური აღრიცხვა როგორც ინდივიდუალური მოსწავლის, ისე კლასის/კლასების შესახებ.

რეგულაციების დანერგვა ელექტრონული ჟურნალის დანერგვა და როგორ უნდა მოიხმარონ მშობლებმა და მასწავლებლებმა აპლიკაცია – ამ დეტალების შესახებ საუბრობს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ნინო ეფსოვიძე.

რეგულაციების დანერგვა ელექტრონული ჟურნალი

ელექტრონული ჟურნალი ზოგადი განათლების რეფორმის, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შეიქმნა. მისი მიზანია, ტექნოლოგიების მიწოდებით, მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, უფრო მარტივად შეაფასონ მოსწავლე და აღრიცხონ დასწრება, ხოლო მშობლებს, აღნიშნული პლატფორმით, შესაძლებლობა ექნებათ, მყისიერი ინფორმაციის მიწოდებით, უფრო აქტიურად ჩაერთონ შვილის მოსწრებისა და დასწრების საკითხებში.

აკადემიური მოსწრების აღრიცხვა-შეფასებები ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელსაც ვენერგავთ, მაგრამ გარდა ამისა, მასწავლებლებს შეუძლიათ, მონაწილეობა გაუზიარონ დავალებს, ასევე, შეტყობინება როგორც მშობლებს, ისევე მოსწავლეს. შესაბამისად, ეს ნაწილი უფრო კომპლექსურია.

აპლიკაცია გაშვებულია და მასწავლებლების პირველი საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა უკვე გაიმართა. მათ მივანოდეთ ინფორმაცია და მივიღეთ უკუკავშირიც. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, საქართველოს მასშტაბით, პლატფორმა უკვე დანერგულია 166 სკოლაში და, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით, მასწავლებლები აპლიკაციას უკვე იყენებდნენ. შესაბამისად, გარკვეული უკუკავშირი მათგანაც გვაქვს. ამიტომ, შეიძლება იქნას, რომ მათთვის ეს ახალი პროდუქტი არ არის.

შექმნილია როგორც ვებ, ისე მობაილ აპლიკაცია და მშობელსაც და მასწავლებელსაც ძალიან მარტივად შეუძლია მი-

სი გადმოწერა. აპლიკაციის სახელია – Online School. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს მხოლოდ ანდროიდსა და აიოსში უნდა აპლიკაციის ჩამოტვირთვა, აუცილებლად უნდა მიაწერონ – emis, რადგან ბევრი მსგავსი აპლიკაციაა და ამით უფრო მარტივად იპოვიან მათთვის სასურველს მშობლებიც და მასწავლებლებიც.

დამეთანხმებით, რომ მხოლოდ აპლიკაციის შექმნა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სასწავლო პროცესში ძალიან აქტიურად გამოვიყენოთ პლატფორმა, ამიტომ, როგორც ვითხარით, ვანყობთ საინფორმაციო შეხვედრებს და მომხმარებელს აპლიკაციის ფუნქციონალს დეტალურად ვუხსნი. ამის გარდა, მათ შესაძლებლობა აქვთ, იქვე დასვან კითხვები, ჩვენ მზად ვართ, ყველა კითხვას ვუპასუხოთ და კონკრეტულად იმ თემებზე ვისუბროთ, რაც მათ აინტერესებთ. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელმა, სასწავლო პროცესის დროს, ვერ შეძლო რაიმე კონკრეტული მოქმედების განხორციელება და გარკვეული კითხვები აქვს, შეუძლია ცხელ ხაზზეც დარეკოს ან სოციალურ ქსელში დასვას კითხვები (სათანადო სახელმძღვანელოებიც არსებობს) – ჩვენი საინფორმაციო მართვის სისტემის თანამშრომლები ძალიან აქტიურად არიან ჩაბმული პროცესში და აუცილებლად გაუნევენ დახმარებას. ეს არის გარდამავალი ეტაპი და იმედია, დანერგვის პროცესს სკოლები კარგად გაართმევენ თავს.

შეაქვს თუ არა მოსწავლე მასწავლებლის შეფასებას

საკმაოდ მოქნილი პლატფორმაა, თუმცა, სამომავლოდ, შესაძლოა დამატებითი ფუნქციონალის შემუშავებაც. აქტიურად ვგეგმავთ ვამოკითხვას იმის გასაგებად, რა მოსწონთ ან არ მოსწონთ როგორც მასწავლებლებს, ისე მშობლებსა და მოსწავლეებს. შესაბამისად, თუ რაიმე საკითხი გახდება აქტუალური, აუცილებლად გავითვალისწინებთ, მათ შორის, მოსწავლის მიერ მასწავლებლის შეფასებასაც.

გრაძევიან პარამეტრებში, რას შეცვლის კონკრეტული სიხშირე არსებულ განათლების სისტემაში

ელექტრონული ჟურნალი საკმაოდ აქტიურად არის დანერ-

გული მთელ მსოფლიოში. როდესაც ფუნქციონალის შექმნაზე ვმუშაობდით, ყველაზე კრიტიკულ ნაწილად პროცესში მშობლის ჩართულობა გამოიკვეთა იმიტომ, რომ ვინც მუშაობს და არ შეუძლია სკოლაში აქტიურად იაროს, თვალს ვერ ადევნებს პროცესებს და ვერც დროულად იღებს ინფორმაციას საკუთარი შვილის მოსწრებისა თუ სხვადასხვა აქტივობის შესახებ, ონლაინ რეჟიმში მყისიერად შეუძლია მიიღოს ინფორმაცია. ეს თავისთავად გაზრდის მშობლის ჩართულობას და ინფორმირებულობას.

სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახურია შესული, მოსწავლეთა მშობლებს საკუთარი შვილის დარღვევების შესახებაც (თუ ასეთი მოხდება) მიუვათ შეტყობინება, ამიტომ სკოლას აღარ მოუწევს დაელოდოს მშობლებს, სამსახურის დასრულების შემდეგ, შვილის შესახებ რომ მიაწოდონ გარკვეული ინფორმაცია. ჩემი აზრით (და არა მხოლოდ ჩემი აზრით), ეს აპლიკაცია ბევრად გაუიოლებს ურთიერთობებს როგორც მასწავლებლებს, ისე მშობლებს. როდესაც ჩვენი მომხმარებელი გამოვიკითხეთ, პლატფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილად სწორედ ეს დასახელდა. გარდა ამისა, თავისთავად, მასწავლებლებს გაუადვილებათ მოსწავლის აღიკვეთა და შეფასებაც.

საერთაშორისო გამოცდილების როლი ანალოგია ონლაინ სკოლა

ეს სრულად ქართული პროდუქტია, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ ავიღებდით და ვერ გამოვიყენებდით ვერც ერთ საერთაშორისო პლატფორმას. აუცილებლად ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა შეგვედგინა პლატფორმა, შესაბამისად, ალგორითმები, ნიშნის დათვლა განმსაზღვრელი შეფასებისა და ა.შ. ყველაფერი მორგებული უნდა ყოფილიყო ქართულ რეალობას და, რასაკვირველია, ეს ასევე არის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არსებული კრიტიკული ინფორმაცია, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ, ინახება საქართველოში და მასზე წვდომა ვერც ერთ სხვა, არაქართულ ორგანიზაციას ვერ ექნება.

მომზადდა ლალი ჯილაძე



რეპორტი

კვირას მოსწავლეებო, მასწავლებლებო, მშობლებო! ქალაქ ნალკის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

საჯარო სკოლის დირექტორებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა, ტექნიკურმა პერსონალმა არ დაიშურეს ძალისხმევა, გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია და შეიქმნა ის გარემო, რაც მოსწავლეების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ნალკის მუნიციპალიტეტის 31-ივე საჯარო სკოლამ წარმატებით გაიარა სკოლების მონიტორინგის პროცესი, რომლის საფუძველზეც დადასტურდა მათი მზაობა სასწავლო წლის დასაწყებად. სკოლები სრულად უზრუნველყოფილი არიან პირბადეებით, დეზობარიერებით, ზედაპირის სადეზინფექციო სათვისებებით და დისტანციური თერმომეტრებით.

დასრულდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 60 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა სოფელ

იმერაში. ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 საჯარო სკოლას. შესაბამისი ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც, რის თაობაზეც ყველა სკოლა ინფორმირებულია.

სკოლები უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებითა და პირველკლასელების კომპიუტერებით, რომლებიც გადაეცათ მოსწავლეებს ყველა წესის დაცვით.

ახალი სასწავლო წლიდან, საკლასო ჟურნალებთან ერთად, დაინერგება ელექტრონული ჟურნალებიც, რაც სასწავლო პროცესს უფრო გააძლიერებს, ყველა მშობელს შეეძლება თვალყურის ადევნოს თავისი შვილის მიმდინარე და სემესტრულ ნიშნებს.

წარმატებულ და მშვიდობიან სასწავლო წელს გისურვებთ!

არსენ ჯემსაძე

ნალკის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



ჯემოხეთის სკოლამ სასწავლო პროცესი განაახლა

ირაკლი თაყაიძე

გურია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი და მდინარე ხევისწყალსათავე... სწორედ აქ, გურია-იმერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე, გურიის ლამაზ მთათა (გურიის მთებს კი, მოგვხსენებთ, თვით ვალაკტიონი „მღერდა გრძნობით“) ქვაბულში ჩიტის ბუდევასთან ჩადგმული პატარა სოფელი ზემოხეთი, რომელიც გურამ და იური თევზაძეების, თამაზ და თათარ ჭილაძეების და მის მსგავს მოღვაწეთა ახლო თუ შორეული შთამომავლებით იწონებს თავს... ოდესღაც საკურორტო, დღეს კი ყველა დროის ხელისუფალთაგან მივიწყებული სოფელი... აქ რომ ოდესღაც კურორტი იყო, ამას სოფლის ყველაზე ცნობილი და სარიტუალო მთის სახელწოდებაც ადასტურებს – აგარაკი, თუმცა მისი ნამდვილი სახელწოდება ორკე. წლების წინ სოფლის უხუცესი მცხოვრები თავად მიაბობდა, რომ ახსოვს მის ბავშვობაში იქ მდგარი ხიმინჯებიანი სახლები, სადაც თურმე დამსვენებლები ადიოდნენ... მას მთის გარშემო შემოვლებული ღრმა და განიერი თხრილიც ახსოვდა. როგორც ბაბუას მონათხრობით იცოდა, ეს საფორტიფიკაციო თხრილი ყოფილა, რომელსაც თურმე მტრის შემოსევისას წყლით ავსებდნენ... უცხოეთში ასეთ ადგილებს ხელოვნურად ქმნიან და რეკრეაციულ ზონებად აქცევენ, რაც ქვეყნისთვის მრავალმხრივ მომგებიანი ინვესტიციაა – წმინდა ფინანსური მოგების გარდა, ხელს უწყობს მოსახლეობის გაჯანსაღებას. ჩვენთან კი, უპატრონოდაა მიტოვებული. ჰაერის გარდა, სამკურნალო თვისებებით აქაური წყლებიც გამოირჩევა – ლაბორატორიულადც დამტკიცებულია, რომ მათი ნაწილი საკმარის იოდს შეიცავს, ანუ ჩიყვის მკურნალობისთვის უებარია, ხოლო ნაწილს რომ არააერთი ბავშვი სხვადასხვა გართულებებისგან განუკურნავს, ამის

მაგალითი სოფლის ცხოვრებაშიც ბევრია.

შექმტერის საღამოს ამ წყნარი სოფლის მონოტონური სიმშვიდე მოულოდნელად ამბავმა დაარღვია – ბათუმიდან მობოლებთან სტუმრად ამოსულ ქალბატონს კორონავირუსი დაუდგინდა! ამით ზემოხეთი გურიაში მეზუთე სოფელი გახდა, სადაც ეს ვირუსი დაფიქსირდა. შესაბამისად, ბოლო ერთი წლის ყველაზე აქტუალური კითხვაც მოიხსნა დღის წესრიგიდან, ხომ არ დადასტურდა ვირუსი სადმე მათ სიახლოვეს. გურია, ლამის მთელი წელიწადი, ჩვეული შეუვალობით ინარჩუნებდა „მწვანე ზონის“ სტატუსს, თუმცა, ეს რომ უსასრულოდ არ გაგრძელდებოდა, ყველა ხვდებოდა, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დიდი თავსატეხი ასე უზრუნველად და ასე უბრალოდ, სტუმრად ამოსულ ქალბატონთან ერთად თუ გვესტუმრებოდა, ვერაფერი იფიქრებდა... საბედნიეროდ, კონტაქტების რაოდენობა მინიმალურია, მაგრამ ფაქტი მაინც არასასიამოვნოა.

ბუნებრივია, ეს ამბავი ზემოხეთის საჯარო სკოლაზეც მოახდენს გავლენას, თუმცა არა იმდენად დიდს, 15 სექტემბერს სწავლის დაწყება რომ შეაფერხოს ან დაეგვიღოს პროცესში რაიმე არსებითად შეცვალოს. სოფლის იმ უბნიდან, სადაც ინფიცირებულის ოჯახი ცხოვრობს, ზემოხეთის არასრულ საჯარო სკოლაში ერთი მოსწავლე დადის, მაგრამ მის ოჯახს დაინფიცირებულებთან კონტაქტი არ ჰქონია. ამის მიუხედავად, ყველაფერს გააკეთებენ არა მხოლოდ იმ ერთ, არამედ ყველა მოსწავლეზე სრულყოფილი დაკვირვებისთვის, რადგან სკოლას საამისო რესურსი აქვს და აქამდეც ემზადებოდა როგორც ახალი სასწავლო სეზონისთვის, ისე ვირუსის პრევენციისთვის.

ზემოხეთის არასრული საჯარო სკოლა მცირეკომპლექტია, რაც, როგორც სკოლის დირექტორი ვასილ ნიკოლაიშვილი ამბობს, პანდემიის პირობებში კარგია, რადგან სოციალური დისტანციის დაცვა გაცილებით იოლია. თან, სკოლას ერთი შესასვლელი აქვს, რაც ამ ექსტრემალურ პირობებში ასევე მოსახერხებელია და იზოლაციისთვის დამატებითი ღონისძიებების გატარების საჭიროება არაა. სკოლა აღჭურვილი და მომარაგებულია პანდემიასთან საბრძოლველად საჭირო ყველა საშუალებით – სათანადო ორგანოებმა უკვე გადასცეს თერმოსკრინინგის უახლესი აპარატები, დეზობარიერები, პირბადეები; მოტანილია ანტისეპტიკური სათვისებიანი კონტეინერებით, რომლებიც დამონტაჟებულია როგორც სკოლის შესასვლელთან, ასევე თითოეულ საკლასო ოთახთან, კონტეინერების სიახლოვეს, ასევე, დამონტაჟებულია ხელსახოცების კოლოფი; შენობას უტარდება ჰიგიენური ღონისძიებები, ანტისეპტიკური საშუალებები და ვენტილაცია... სკოლას ანტისეპტიკური სათვისის სათანადო მარაგიც გადაეცა, თუმცა, მათი ნაწილი ჯერ კიდევ შარშან შეიძინეს საკუთარი სახსრებით. გამოყოფილია სანიტარიული ოთახიც, სადაც ექიმების მოსვლამდე, იზოლაციის მიზნით, გადაიყვანენ მათ (დმერთმა დაიფაროთ), ვისაც დასაშვებზე მაღალი ტემპერატურა დაუფიქსირდება. ასეთ შემთხვევაში გამოიძახებენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგა-

დას, ხოლო მოსწავლის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ აცნობენ მშობელსაც და დაელოდებიან ექიმთა მოსვლას. სკოლამ, პანდემიის პირობებში მუშაობისთვის, აუცილებელი რეკომენდაციებიც მიიღო და ექსტრემალურ სიტუაციაში მოქმედებისათვის შესაბამისად, გამოიყენენ პირები, რომლებიც გააკონტროლებენ სკოლის შენობაში შემსვლელ ნებისმიერ პიროვნებას (თუმცა, საჭიროების გარეშე, უცხო პირთა შესვლა სასტიკად იკრძალება) – გაუსინჯავენ სიცხეს, მოსთხოვენ პირბადეს და ა.შ. ცალკე პიროვნება იქნება მიმავრებული თერმოსკრინინგზე, სოციალური დისტანციის დაცვაზე და ა.შ. მოსწავლეებიც გაკვეთილზე მხოლოდ პირბადით დაიშვებიან, მოსწავლეებს კი, იმავე რეგულაციებით, ამის ვალდებულება არ აქვთ. სკოლა, პრევენციული ღონისძიებების თვალსაზრისით, უკვე შეამოწმა რაიონის გამგეობამ და ჩატარებული სამუშაოები მიზანშეწონილად მიიჩნია.

მონესრიგებულია სველი წერტილები, თუმცა, ისინი სკოლის ეზოშია განთავსებული. ეს სკოლა 2007 წელს აშენდა, მაშინდელი საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში და პროექტი არ ითვალისწინებდა სველი წერტილების შენობის შიგნით განთავსებას. თანაც, ხის შენობაა, რის გამოც სველი წერტილების შიგნით მოწყობა არ ხერხდება. ამას ფართის სიმცირეც ემატება – თათხების არც რაოდენობა და არც მოცულობა ნამდვილად არ იძლევა ამდენის საშუალებას. სკოლის ხელმძღვანელობა კი ფიქრობს დამატებითი საჭიროებებისთვის გარკვეული ფართის მიშენებას, სადაც სველი წერტილებიც იქნება გათვალისწინებული, მაგრამ, მოგვხსენებთ, მშენებლობა ძვირი სიამოვნებაა და, ჯერჯერობით, ვერ ახერხებენ.

წყალი სკოლას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება, ხოლო ჰიგიენური საშუალებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომარაგებული აქვთ. საპირფარეოს რაც შეეხება, ამ დღეებში, მისი გადაკეთება მიდის – მონტაჟდება ჩამრეცხი სისტემა და ეს სამუშაოებიც სწავლის დაწყებამდე დასრულდება.

ერთი სიტყვით, სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის გასახლებლად და დისტანციური რეჟიმის საჭიროება არ ჩანს, თუმცა კოვიდ-19 რომ ფრიად არაპროგნოზირებადი ვირუსია და მთელ მსოფლიოში მყისიერად შეუძლია ვითარების რადიკალურად შეცვლა, ყველამ კარგად იცის. ამიტომ წინასწარ ვერაფერი იტყვის, რა მოხდება უახლოეს დღეებში, რა შედეგს მოიტანს სოფელში დაფიქსირებული თუნდაც ის ერთი შემთხვევა ან როგორ განვითარდება მოვლენები რეგიონში, მეზობელ მუნიციპალიტეტებში, მთლიანად ქვეყანაში... მით უფრო, ამის შემდეგ შემამფოთლებელი ფორები მეზობელ სოფლებზეც გავრცელდა. ამიტომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, მაგრამ ჯერჯერობით დისტანციურ სწავლაზე გადასვლის საჭიროება არ დგას.



რეპორტი

დაიწყო ახალი სასწავლო წელი

კახაბერი რეზინაშვილი

ამბროლაურის რესურსცენტრის უფროსი:

როგორც მოგეხსენებათ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 22 საჯარო სკოლაა. დღეს სასწავლო პროცესი დაიწყო 20 საჯარო სკოლაში, სოფელ ხოტევისა და სოფელ ნამანევის სკოლებში არ ჰყავთ მოსწავლე და, აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ამ სკოლებმა ვერ დაიწყეს. სხვა სკოლები სრული მზადყოფნით შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს, ყველა მათგანმა გაიარა შემოწმება ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად და ყველამ დააკმაყოფილა აუცილებელი მოთხოვნები. ამასთანავე, ნორმალურია სასკოლო გარემო სკოლებში და შეძლებისდაგვარად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, სასწავლო რესურსები გადაცემულია მოთხოვნის შესაბამისად, საკადრო დეფიციტი არ არსებობს. დღეს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სკოლებში, პირველად შედგა სკოლის კარი 89 პირველკლასელმა. მათ და ყველა მოსწავლეს, მასწავლებლებს, მშობლებს ვულოცავ ახალ სასწავლო წელს, ყველა მათგანს ვუსურვებ წინსვლას და წარმატებას.



ანა მატრეველი

ონის მუნიციპალიტეტის ღარის საჯარო სკოლის დირექტორი:

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის საჯარო სკოლა მაქსიმალური მზაობით შეხვდა ახალი სასწავლო წლის დაწყებას. სასწავლო პროცესი პირველადი მოდელის გარეშე, ტრადიციულად, საკლასო ოთახებში დაიწყო. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან დროულად მიღებულმა რეკომენდაციებმა საშუალება მოგვცა, გაგვეთვალისწინებინა ყველა გარემოება, კოვიდ 19-თან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად – სკოლაში მოწყობილია საიზოლაციო ოთახი, ექიმის კაბინეტი აღჭურვილია მედიკამენტებითა და ინვენტარით; მოსწავლეები, სკოლის შემოსასვლელში, გაივლიან დეზობარიერსა და თერმოსკრინინგს, შემოსასვლელშივე განთავსებულია ხელსაბანი და ხელის სადეზინფექციო ხსნარი; სრულადაა აღჭურვილი და მოწესრიგებული სველი წერტილები. მშობლები ინფორმირებული არიან სასკოლო განრიგის, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებების შესახებ.

სკოლის ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალსა და პედაგოგიურ კოლექტივს გაცნობიერებული გვაქვს კოვიდ 19-თან დაკავშირებით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და ვიცავთ ყველა რეკომენდაციას, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ინფექციის გავრცელება.



ეკა ლოლოზარიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნიკორწმინდის საჯარო სკოლის დირექტორი:

მიხარია, რომ საკლასო ოთახებში ვინცებთ სასწავლო წელს. ნიკორწმინდის საჯარო სკოლის თანამშრომლები გავეცანით რეკომენდაციებს, რომელიც მოგვანოდა განათლების

სამინისტრომ და სასწრაფოდ შევეუდეთ ყველა იმ პრობლემის მოგვარებას, რომელსაც შეიძლება ხელი შეეშალა სასწავლო პროცესის დაწყებისათვის. გარემონტდა და სრულად აღჭურვა შესაბამისი ინფრასტრუქტურით სველი წერტილები, სკოლის ყველა სართულზე გვაკარით საინფორმაციო ბუკლეტები, მოვანყვეთ საიზოლაციო და მოსაცდელი სივრცეები. შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა. განათლების სამინისტრომ სკოლა აღჭურვა დეზობარიერი, სადეზინფექციო ხსნარებით და დისპენსერებით. სკოლა სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს.



P2020 წლის 15 სექტემბერს ნიკორწმინდის საჯარო სკოლაში 5-მა პირველკლასელმა შედგა სკოლის კარი და მოსწავლეების ჟრიამული კვლავ გაისმა საკლასო ოთახებში.

მინდია ცხედიანი

ამბროლაურის №2 საჯარო სკოლის დირექტორი:

მეტისმეტად გაგრძელდა არდადეგები, გვიტევს კორონავირუსი, რაც უფრო მძიმდება სიტუაცია, მით უფრო ძლიერია სურვილი სწავლის განახლებისა... და აი, ინყება...



როგორ ვინყებთ? ზემის, აღნიშვნის, კოცნისა და ახუტების გარეშე, მაგრამ მონატრებითა და სიყვარულით... და, რა თქმა უნდა, რეგულაციების სრული დაცვით. ვინყებთ ოცდარვა პირველკლასელთან ერთად. გამოცდილი და მოტივირებული მასწავლებლებით, სათანადოდ მომზადებული ტექპერსონალით. ჩატარებული დეზინფექციით, გაყოფილი კლასებით, გარემონტებული საკლასო ოთახებით...

სკოლის ხუთივე შესასვლელი ღიაა, თერმოსკრინინგისას რიგები რომ არ შეიქმნას, ყველა კლასმა იცის, რომელი შესასვლელიდან უნდა შევიდეს, პირბადიანი მასწავლებლები თვალბრუნებით ილიმებიან, სკოლის შესასვლელთან საქართველოს დროშები და აღმებზე ფრიალებს. ეზო, დერეფნები და საკლასო ოთახები საზეიმოდაა მორთული, ისმის მუსიკის ხმა... მანინც ვზივით, დღეს ხომ ახალი სასწავლო წელი ინყება...



მედეა რატიანი

სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სადმელის საჯარო სკოლის დირექტორი:

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მომზადებული ვხვდებით. რეკომენდაციების შესაბამისად, მოწესრიგებული და



აღჭურვილია სასკოლო გარემო. სკოლამ დააკმაყოფილა შესაბამისი რეგულაციები და მივიღეთ სწავლის დაწყების ნებართვა. ეფექტურობის მიზნით მოვახდინეთ ფუნქციების დელეგირება, დაენიშნეთ პასუხისმგებელი პირები თერმოსკრინინგის ჩატარებაზე, პირბადის ტარებაზე, დისტანციის დაცვაზე და ა.შ. შევიმუშავეთ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა და მშობელთა ინფორმირების წესი. მე და სკოლის ყველა თანამშრომელი ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას. ამასთანავე გვინდა, რომ მოსწავლეები არ იყვნენ დამბულბები, იყვნენ ხალისიანად. შევცვავეთ სასაიზოლაციო გარემო დაგვეხვედრებინა მათთვის.

ამ სასწავლო წელს 44 მოსწავლე გვყავს, მათ შორის 4 პირველკლასელი. მოსწავლეთა რაოდენობა არ შეცვლილა – 4-მა მოსწავლემ დაამთავრა მე-12 კლასი; ოთხივემ წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში.



სკოლის პედაგოგების 80% სერტიფიცირებულია. წარმატებები მინდა ვუსურვო ყველა მოსწავლეს და განათლების სფეროში ყველა დასაქმებულს.

რუსუდან მატრეველი

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორის საჯარო სკოლის დირექტორი:

ჩვენი სკოლა მცირეკონტინგენტიანია. 2019-2020 სასწავლო წელი, მიუხედავად COVID-19 ვირუსისა, წარმატებულად დასრულდა. მეთორმეტე კლასში სულ სამი მოსწავლე იყო, აქედან ერთი მედალოსანია (ნინო კერვალიშვილი). მათ წარმატებით გაართვეს თავი ეროვნულ გამოცდებს; ჩაირიცხნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ნინო კერვალიშვილი), საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტი (ანა ნიკოლიშვილი), მოიპოვა 50-პროცენტისანი გრანტი. პანდემიის მიუხედავად სორის საჯარო სკოლა წარმატებით ინყებს 2020-2021 სასწავლო წელს. ყველა პირობაა იმისათვის, რომ მოსწავლემ მიიღოს ის ცოდნა და გამოცდილება, რაც საჭიროა მისი პიროვნული განვითარებისათვის. სკოლას ჰყავს 8 უფროსი მასწავლებელი; დაცულია ყველა რეგულაცია, რაც საჭიროა COVID-19-თან დაკავშირებით, მშობლები და ბავშვები გაეცნენ ყველა საჭირო რეკომენდაციას. მთელ საქართველოს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ვუსურვებ წარმატებებს ამ რთულ სიტუაციაში.



მოამზადა მაკა ყიფინაძე

სკოლაშვილი განათლება

დამატებითი ბარიერი სკოლაშვილი განათლების ხელმისაწვდომობისთვის

საქართველოში – „სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების დანახვების მონიტორინგის შედეგები“

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესის განახლება 1 ოქტომბრიდან იგეგმება. კოვიდპანდემიის ფონზე, ბავშვებს მთელი რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება მოუწევთ, რათა სააღმზრდელო პროცესი ყველა იმ წესის დაცვით წარმართონ, რასაც ჯანდაცვის სამინისტრო აწესებს. პირველ რიგში, საყურადღებოა სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების დანახვების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, არანაკლებ მნიშვნელოვანია კვების საკითხი, ჯგუფების გადატვირთვის პრობლემა და ბევრი სხვა. ამ მხრივ, აქტუალური და დროული იყო საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების დანახვების მონიტორინგის შედეგები“, რომელიც ნინო ლომჯარიამ 2020 წლის 9 სექტემბერს წარადგინა. ანგარიში მომზადდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, პროექტის „ბავშვის უფლებები ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში. ეს დოკუმენტი ასახავს საქართველოს სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების დანახვების მონიტორინგის შედეგებს, ალზრდელთა კვალიფიკაციაზე, გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობასა და სხვა საკითხებზე.

სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების საჯარო დანახვების უზრუნველყოფის მდგომარეობისა და ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტმა 143 ბაგა-ბაღის და 45 სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების გაერთიანების მონიტორინგი ჩატარა, თბილისსა და 10 რეგიონში, სულ 51 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში.

„მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 2014 წელს, ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ სიტუაცია გაუმჯობესდა, რაც ძირითადად შეეხო ალზრდელთა ჯანსაღ, დაბალანსებულ და ასევე, სპეციალურ კვებით საჭიროებებს. თუმცა, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული სამუშაოების მიუხედავად, საბავშვო ბაღებში კვლავ რჩება მთელი რიგი საკითხები, რაც შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს“, – აღნიშნა სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილე საქართველოში ემი კლენსი ამბობს, რომ ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან უსაფრთხო და მასტიმულირებელ გარემოში, რისთვისაც აუცილებელია ადეკვატური ჰიგიენური პირობები, ინფრასტრუქტურა, კვება და ძალადობისგან დაცვა.

„2017 წელს ეროვნული სტანდარტების მიღების მიუხედავად, სკოლაშვილი ალზრდის დანახვების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბევრ სკოლაშვილს დანახვების არ აქვს საჭირო უსაფრთხო შიდა და გარე ინფრასტრუქტურა, წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობები, ბავშვების კეთილდღეობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. COVID-19 პანდემიის ფონზე, ეს საკითხები კიდევ უფრო

პრობლემატურია და შეიძლება დამატებითი ბარიერი გახდეს სკოლაშვილი განათლების ხელმისაწვდომობისთვის“. – განაცხადა ემი კლენსიმ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები, ძირითადად, სკოლაშვილი დანახვების ინფრასტრუქტურის მონერსივებას და სასწავლო და სააღმზრდელო ინვენტარსა და ეზოების კეთილმოწყობის საკითხებს ეხება; კვლავ პრობლემად რჩება ბაღებში არსებული გადატვირთულობა და კვალიფიციური კადრების სიმცირე.

იუნისეფის სკოლაშვილი განათლების სპეციალისტი ანა ჯანელიძე ამბობს, რომ მხოლოდ სანიტარია-ჰიგიენა არ არის პრობლემა, კოვიდის კონტექსტში, ძალიან დიდი საფრთხის შემცველია, ასევე, გადატვირთული ჯგუფები: „როდესაც ჯგუფში 45 ბავშვია, იქ, ბუნებრივია, ინფექციური დაავადებების გავრცელების მომეტებული რისკია. რა თქმა უნდა, სანიტარია-ჰიგიენა არის ერთი პრობლემა, რომელიც ბაღების დაახლოებით 1/3-ში გამოვლინდა, მაგრამ არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს, ამ კვლევის მიხედვით, საქართველოში, გადატვირთული ჯგუფები (მათი რაოდენობა ჯგუფების ნახევარზე მეტს შეადგენს). საბავშვო ბაღები განსაკუთრებით გადატვირთულია ქალაქებში. საკმარისი ფართობის უქონლობის გამო, ხშირად, საძინებელი სივრცე, იქ, სადაც ბავშვებს უნდა ეძინოთ, გამოყენებულია, როგორც ახალი, დამატებითი ჯგუფის სივრცე. ამიტომ, ეს ორივე საკითხი სერიოზულ გამოწვევად რჩება და დამატებით ბარიერს ქმნის რეალურად, კოვიდის კონტექსტში, ბაღების გახსნასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კოვიდმა გაამძაფრა ამ საკითხების მოგვარების აუცილებლობა და დაუყოვნებლივ გადაწყვეტის საკითხი“.

ანგარიშის მიხედვით შიდა და გარე ტენდენციები გამოიკვეთა:

- ➔ არასაკმარისი ფართობის გამო, შეზღუდულია ბავშვების საჭიროებები. განსაკუთრებით, არასტანდარტულ შენობებში განთავსებულ საბავშვო ბაღებში;
- ➔ საბავშვო ბაღები არ არის სრულად მორეგულირებული ბავშვების საჭიროებებზე და ვერ უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ჩართულობას;
- ➔ საბავშვო ბაღების აბსოლუტურ უმრავლესობაში ეზო არ არის მოწყობილი ალზრდელთა საჭიროებებისა და უსაფრთხოების შესაბამისად;
- ➔ არასაკმარისია ინვენტარი, რაც განსაკუთრებით მწვავეა საძინებლების, სააღმზრდელო და სასადილო ოთახების საჭიროებებთან მიმართებით;
- ➔ საბავშვო ბაღები იშვიათად მარაგდება ალზრდელთა ასაკისა და რაოდენობის შესაბამისი სათამაშოებით;
- ➔ სველი ნერტილები არ არის მოწყობილი ბავშვთა და განსაკუთრებით, შშმ ბავშვთა საჭიროებების მიხედვით; ფართობი და ინვენტარი არ შეესაბამება ალზრდელთა რაოდენობას. ამასთან, საბავშვო ბაღების ნაწილში სველი ნერტილები არ არის უზრუნველყოფილი თბილი წყლით;



- ➔ ალზრდელთა უმეტესობას არ აქვს გავლილი გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე; ეს ხელს უშლის ძალადობის შემთხვევათა გამოვლენასა და მათზე დროულ რეაგირებას;
- ➔ შემონეშებული საბავშვო ბაღების 34%-ში ირიცხებიან შშმ ალზრდელთა, თუმცა მათგან მხოლოდ 14.2%-ს ჰყავს სპეციალური პედაგოგის კადრი;
- ➔ პრობლემატური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხიც; სოფლების მხოლოდ 13,75%-დან ხდება ალზრდელთა ტრანსპორტირება ახლომდებარე საბავშვო ბაღში.

კვლევის მიგნებები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მაია გედევანიშვილმა და მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, ლიკა ლენჯილიამ წარადგინეს.

„ბაღებში შექმნილი ვითარება ნამდვილად არის თვითმმართველობის პასუხისმგებლობა, კანონის მიხედვით, – ამბობს ანა ჯანელიძე, – მაგრამ ხშირად თვითმმართველობებს არ ყოფნით რესურსი იმისთვის, რომ ყველა პრობლემას გაუმკლავდნენ სკოლაშვილი განათლების სფეროში. ამიტომ, როდესაც ქვეყანაში, დღეს, უკვე გვაქვს სავალდებულო სახელმწიფო სტანდარტები, რომელთაგან ოთხი დამტკიცებულია (ერთს ვერ კიდევ ველოდებით, 2017 წლის შემდეგ, ეს არის ინფრასტრუქტურის სტანდარტი, მოლოდინიც ნულოვანია, რომ მალე დამტკიცდება) და სტანდარტებიც გვაქვს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ შესაბამისი მხარდაჭერა ცენტრალური ხელისუფლებისგან (ვგულისხმობ როგორც ფინანსურ რესურსს, ასევე ადამიანურს), რომ კომპეტენციების გაძლიერება მოხდეს და მათ იცოდნენ, როგორ ალზრდელთა ის სტანდარტები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული მონიტორინგის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ შესაბამისი უწყებები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლაშვილი განათლების მონიტორინგის ფონზე, უსაფრთხო გარემოს, ასევე ბავშვთა უფლებებიც მდგომარეობას.

მოამზადა ლალი თვალაბაიშვილმა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების დანახვების მონიტორინგის ჩატარება

საქართველოში 2019 წლის მონაცემები

- 1481 საბავშვო ბაღი
- 150 930 ალზრდელი

შემოგვდა

- ინფრასტრუქტურული მდგომარეობა
- კვება
- სანიტარია-ჰიგიენა
- ჯანდაცვა
- ბავშვთა მიმართ ძალადობა
- ადამიანური რესურსები

მონიტორინგმა მოიცვა

- თბილისი და 10 რეგიონი
- 51 მუნიციპალიტეტი
- 143 საბავშვო ბაღი
- 45 სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების გაერთიანება

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

unicef
for every child

სკოლაშვილი ალზრდისა და განათლების დანახვების მონიტორინგის შედეგები

- გამოკითხულ დირექტორთა მხოლოდ 12.9% არის ინფორმირებული ბავშვთა დაცვის მიმართულების (რეფერირების) პროცედურების შესახებ
- ბავშვთა მიმართ ძალადობის/ბავშვის უფლებათა საკითხებში გადამზადებული ალზრდელთა მხოლოდ 12%-14%
- საბავშვო ბაღების 54% საჭიროებს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს
- დანახვების 46%-ში ეზო არ არის მოწყობილი ალზრდელთა გართობისა და დასვენებისთვის
- საბავშვო ბაღების 73%-ს არ აქვს ალზრდელთა რაოდენობისა და ასაკის შესაბამისი სათამაშო
- თბილი წყლით უზრუნველყოფის საკითხი პრობლემატურია დანახვების 35.5%-ში
- ბაღების 27% ნაწილობრივ, ხოლო 54% საერთოდ არ არის მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისთვის

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

unicef
for every child

მონიტორინგი განხორციელდა 143 საბავშვო ბაღში

ინფორმაცია



- ✓ სასწავლო პროცესის განახლებასთან ერთად, დისტანციური სწავლების მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი რესურსის „თელესკოლის“ ახალი სეზონი დაიწყო.
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს პირველი არხის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი, 15 სექტემბერს, 09:00 საათიდან განახლდა.
- ✓ „თელესკოლა“ ყველა კლასის მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილ ტელეგაკვეთილებას მოიცავს.
- ✓ სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების გარდა, „თელესკოლა“ კლასგარეშე სწავლებასაც მოიცავს. ნებისმიერი ასაკის მაყურებელს, რომელსაც ინტერესობს შესწავლა სურს, ინტერესობის ენის გაკვეთილების ნახვის შესაძლებლობა ექნება.
- ✓ ახალ სეზონზე „თელესკოლაში“ ორი ახალი გადაცემა: „ლიტერატურული ფრაგმენტები“ და „ჩემი საქართველო“ დაიწყება.
- ✓ პროექტი „თელესკოლა“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით წარმატებით ხორციელდება, ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელია სწავლაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. პროექტი ნებისმიერ მოსწავლეს სასწავლებლს აკლავს, ნახოს ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული, საინტერესო გაკვეთილები ნებისმიერ საგანში. მასში ჩართულობა არიან მოსწავლეები როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან.
- ✓ საეთერო გადაცემის ყველა საფეხურის საგანს. გაკვეთილების დაგეგმვისას, სპეციალური კვლავიდან და უსიძოლოების რეკომენდაციების საფუძველზე, მასში მონაწილეობის გათვალისწინებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესები.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურების განმარტების დისტანციური კურსი გაიარეს

საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურების განმარტების დისტანციური კურსი გაიარეს. 1 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით, ელექტრონული სატრენინგო პორტალით, 380 მოქმედი მანდატური გადაამზადა.

მანდატურების განმარტების და მოზარდის განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტები, ასევე, კონფლიქტების მართვა, პრევენცია და რეაგირების მექანიზმები განახლებული სასწავლო მოდულების მიხედვით შეისწავლეს. კურსის დასრულების შემდეგ, მათ შსს-ს აკადემიაში ტესტირება გაიარეს.

გადამზადების დისტანციური კურსი, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და შსს-ს აკადემიის თანამშრომლობის ფარგლებში, 2019 წელს შეიქმნა. აღნიშნული ელექტრონული პორტალის მეშვეობით უკვე 800-მდე მოქმედი მანდატური გადაამზადა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 20-მა თანამშრომელმა – მანდატურების, ფსიქოლო-

გებმა და სოციალურმა მუშაკებმა – ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ადამიანის უფლებების თემაზე ტრენინგის ტრენინგის მეორე ეტაპი გაიარეს.

ონლაინ ტრენინგების განმავლობაში, მანდატურის სამსახურის თანამშრომლები დეტალურად გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა: ადამიანის უფლებები და თანამედროვე გამოწვევები; ბავშვთა უფლებები; სტერეოტიპები და ცრურწმენები; სიძულვილის ენა, დისკრიმინაცია და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები; კიბერბულინგი და სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში; შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების უფლებები.

ტრენინგის ტრენინგები საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში იმართება.



აფხაზეთი ფერებში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით, მზიურის პარკში, გაიმართა ღონისძიება „აფხაზეთი ფერებში“. ღონისძიებაზე ონლაინ კონკურსების – „აფხაზეთი ფერებში“ (მხატვრებისთვის) და „საერთო ტრადიციებით, საერთო მომავლისკენ“ (ფოტოკონკურსი) – გამარჯვებულები დააჯილდოვეს, მათ სიგელები, სპეციალური პრიზები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. ღონისძიების ფარგლებში, მზიურის პარკში, საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა და კატალოგის „აფხაზეთი ფერებში“ პრეზენტაცია გაიმართა.

გამარჯვებულ კონკურსანტებს ჯილდოები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რუსულან აბაშიძემ და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში მინისტრმა, დავით ფაცაციაძემ გადასცეს.

კონკურსის „აფხაზეთი ფერებში“ ფარგლებში, გამოიცა ალბომი, რომელშიც შესულია კონკურსში მონაწილეთა მიერ, აფხაზეთის თემაზე შესრულებული ახალი ფერწერული ნამუშევრები, ასევე, ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამართული გამოფენის მონაწილეებისა და ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მხატვრების ნამუშევრები.

„ბელოვანება მუდამ წარმოადგენდა გამაერთიანებელ ფაქტორს და დღესაც სწორედ ის უნდა გახდეს ერთიანი ქართულ-აფხაზური, მშვიდობიანი მომავლის საწინდარი“ – ვკითხულობთ ალბომის ანოტაციაში.



დაიცავით რეკომენდაციები! ერთად შევძლებთ საფრთხის ასცილებას!

